საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/42

ქ. ბათუმი 25 ივლისი, 2016 წ

ბსუ-ს პერსონალის სამსახურში გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის N 90 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შრომის დისციპლინის უზრუნველყოფისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" 2015 წლის 5 ნოემბრის N01-08/51 ბრძანებისა და ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალისათვის ანაზღაურებადი შვებულების მიცემის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 20 ივლისის N 02-04/181 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2015-2016 სასწავლო წლის დასასრულის გათვალისწინებით, 2016 წლის 25 ივლისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, ბსუ-ს პერსონალის დილით, 09:00 საათიდან 10:00 საათამდე დროის მონაკვეთში სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა ჩაითვალოს საპატიოდ.
2. ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტის, ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურების მიერ სარეგისტრაციო აპარატის (ელექტრონული ტაბელის) მონაცემების (ინფორმაციის) დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით დადგენილი შეღავათი.
3. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
4. ბრძანება ბსუ-ს პერსონალისათვის საჯარო გაცნობის მიზნით განთავსდეს ბსუ-ს კანცელარიასთან, ფაკულტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საინფორმაციო დაფებზე.
5. ბრძანება ძალაშია 2016 წლის 25 ივლისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**